წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 10 კ.    ტელეფონი № 76.    სამშაბათი ივლისს 11 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . . 10 მან.
თვიურათ . . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ლრის . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ლრის ერთი ორათ.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა [illegible] ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება [illegible]
კანტორა ღიაა დილის 9—2 [illegible] 5—8 [illegible]
კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 75    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 75

ცოლი თებროლე, ძმა პარმენი და შვილები: მარუსა, სოლომონი, მიშა, კონსტანტინე, გიორგი, იოსები, ევგენი, ბაბუცა, თინათინი და რძალი ფაცია გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველ ყოვლისა ქმრისა, მეორე მამისა და მესამე მამამთილის

## დავით ალმასხანის ძის ალხაზაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. გამოსვენება სამშაბათს, 11 ივლისს, საღამოს 4 საათზე, ბალახვანის ქ. საკ. სახლი.

---

8 ივლისს უეცრად გარდაიცვალა

## მიხეილ ნიკოლოზის-ძე ქუთათელაძე

რასაც ზარდაცემულნი ქვრივი და შვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ. გამოსვენება სახლიდან (პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი) საფირჩხიის სასაფლაოზედ 12 ამა ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზედ ძველი დროის ანგარიშით. ცალკე ბარათები არ დარიგდება.

---

ღრმად დამწუხარებულნი ნათესავნი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ თბილისში გარდაიცვალა

## მიხეილ თომას ძე ზუბალაშვილი

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქუთაისში ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში ოთხშაბათს ივლისის 12 დილის 9 საათზე.

---

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

## 1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედაქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**

---

## ჩვენი ქვეყნის რედაქციას

ქართულ მწერლობის ერთმა მოტრფიალემ

გადმოსცა 200 მან. საუკეთესო თხზულებისათვის პრემიათ გადმოსცა 200 მან.

(განურჩევლათ დარგისა), რომელიც მოთავსებული იქნება ამავე გაზეთის ფურცლებზე 15 ივლისიდან 1 დეკემბრამდე.

წერილი უნდა იყოს არანაკლები 1-სა და არა უმეტეს 3 ფელეტონისა ე. ი. 400—1200 სტრიქონისა.

ჟიურის შემადგენლობა თავის დროზე გამოქვეყნდება.

---

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 13, 1917 წ. ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

## გახრწნილება

**რომანოვთა სასახლისა**

დრამა 4 ნაწ. დღიურ ქირ-ვარამზე. 1 ნაწ. გრიშკა რასპუტინი ნახულია; 2 ნაწ. გრიშკა რასპუტინი და ალექსანდრა; 3. ნაწ. ნიკოლოზი და ბალერინა; 4. ნაწ. მე მიყვარს ყვავილები.

**ანონსი:** ივლისის 10, 11, 12, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათ

## ლინა ექსპერტიზის ქვეშ

ფარსი 4 ნაწ. მონაწ. ლინა ბაუერისა, ბეიტლერის, ხერუვიმოვის და სხ. განსაკუთრებით მოზრდილთათვის.

---

# დ ღ ე ს:

**წერილები:**

დ.— სკოლის ნაციონალიზაცია.

პარტიათა შეთანხმება და ერთა ყრილობა.

პრესა.

ალ. გარსევანიშვილი — ქართველ ხელოსნების ისტორიიდან მე-18 საუკუნეში.

**ცნობები:**

პეტროგრადის ამბები. რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნული კითხვა. დამფუძნებელი კრების არჩევნებ. ბათუმ-ტრაპიზონის რკინის გზის ისტორია. დების იმხნელების კონცერტი. ახალი ამბავი.

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

საზაფხულო შენობა.

ივლისის 10, 11, 12, ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

## ვინ არის დამნაშავე

მხატვრული დრამა 5 ნაწ. მონაწ. ილებენ სახელმწიფო თეატრის მსახიობები ვ. ა. პოლონსკი და მ. მ. გორიჩევი. როგორ შეიქნა კუზიმკინი მსახიობი სახუმარო.

---

## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქუთათურ კოოპერატიებს და ქალაქის დუქნებს დაურიგდა გასაყიდად ადგილობრივი სიმინდის ფქვილი. ფუთი სიმინდის ფქვილი იყიდება 4 მან. 10 შაურად.

---

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს, შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისთვის. შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

---

## ქუთაისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ მის ნება დაურთველათ ქალაქიდან აკრძალულია გატანა შემდეგი საქონლისა: სხვილი ოთხფეხი საქონლისა, შაქრისა, კვერცხისა, პურის ფქვილისა, სიმინდისა, სიმინდის ფქვილისა, ლობიოსი, მუხუდოსი, ქართოფილისა, სხვადასხვა კრუპისა, გამომცხვარი პურისა 10 გირვ. მეტის, ბუბლიკის წვრილისა და მსხვილს, ჩაისა, ძეხვის, ბრინჯის, ფართლეულობისა, ტყავეულობისა და რკინისა.

აღნიშნული საქონლის გატანის ნება მიეცემა კოოპერატოვებს; ხოლო იმ ადგილებში, სადაც კოოპერატიები არ არსებობს, ნება მიეცემა ვაჭრებს (არა უმეტეს ორისა თითო რაიონში).

კოოპერატიების რწმუნებლებს უნდა ექნეს კოოპერატივების მიერ მიცემული საჭირო საქონლის სია, ხოლო ვაჭრებს—აგრეთვე სიები ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისაგან. 3—1

---

იბეჭდება და მალე გამოვა
ნარკვევი
**ტიტე მარგველაშვილისა**
**საშუალებანი ჩვენი ეკონომიური აღორძინებისათვის.**

---

## ექიმები:

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთეხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხ. ტელეფონი 135 №.

---

## სკოლის ნაციონალიზაცია.

ამ დიდ კითხვის სახელს ნუ შევეხებით. სკოლის გაქართულების მიუცილებლობა, როგორც შეგნება ჩვენს მოწინავე საზოგადოებაში უკვე მომწიფდა. დღეს მის რეალ განხორციელებაზე ვლაპარაკობთ. საქართველოს სასულიერო სასწავლებლებმა თავის ყრილობაზე დაადგინა რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან ხსენებულ სასწავლებლებში სწავლება ეროვნულ ნიადაგზე დაწესდეს. ქუთაისის გუბერნიის საშუალო და პირველ დაწყებითი სასწავლებლების მე-V კლასამდის საგნების სწავლება ენკენისთვიდან ქართულ ენაზე იქნება ამ ჟამად თბილისსა და ქუთაისში იბეჭდება სხვადასხვა საგნის ქართული სახელმძღვანელოები. ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო საქმეთა კომისარიატი მოწოდებით მიმართავს სამშობლოს გარე მყოფთ ქართველ მასწავლებელთ და სთხოვს დაბრუნდენ საქართველოში და მასწავლებლის ადგილი დაიკავონ გაქართულებულ სკოლაში რაც შეეხება იმ რუს მასწავლებელთ, რომელნიც ამ დროულათ გასაქართულებულ სკოლებში ირიცხებიან, ისინი გადაყვანილი იქნებიან ისეთ სასწავლებლებში, რომელთაც ნაციონალიზაცია არ მოელით და სადაც მოწაფეთა დიდი უმრავლესობას რუსები წარმოადგენენ. ჩვენ სრულიათ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს გარე მყოფი ქართველი პედაგოგები სიხარულით დაბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, და დღეს, რადგან ძვირფასი დრო დადგა, თავისუფალი ასპარეზი შეიქმნა სამშობლოს სასამსახუროთ, ისინიც ეროვნულ სკოლისთვის თანამშრომლობას მოანდომებენ თავის ენერგიას. გაქართულებულ სკოლას პირველ ხანს შეიძლება ბევრი ნაკლი თან ახლდეს. შეიძლება ჩვენი ინტერესი მოითხოვდეს სკოლის სრულ გაქართულებას ე. ი. არა მარტო მე-V კლასამდე, არამედ უფროს კლასებშიც ქართულ სწავლების შემოღებას. ამ გარემოებას ყველა დარგის ქართველმა ფხიზელი და მიზან შეწონილი ანგარიში უნდა გაუწიოს. სერიოზულ დიდ ეროვნულ მნიშვნელობის კითხვას სასურველ მოგვარებაში ყველამ უნდა ვიშრომოთ. თანდათანობით შევსძლებთ სკოლის სრულიად გაქართულებას და ისეთ დონეზე დაყენებას, რომ იგი ნამდვილი წინსვლის იარაღი იყოს ქართულ ცხოვრებისთვის...

მივესალმებით სკოლის გაქართულებისთვის მომუშავე წრეებს და ვუსურვებთ მათ სიმხნევეს ამ ძნელსა. და ფრიად სიმპატიურ საქმეში. მოუწოდებთ ყველა ენერგიულს და მცოდნე. პირს ამ ასპარეზზე სათანამშრომლოთ. ეროვნული სკოლა გვიხსნის გადაგვარებისა და სიდუხჭირისაგან. ვიმუშაოთ მის გასალორძინებლათ!

დ.

---

## პარტიათა შეთანხმება და ერთა ყრილობა.

(პრესის მიმოხილვა).

პარტიათა შეთანხმების კითხვა იმდენად მომწიფდა საქართველოში, რომ იგი უკვე სადღეისო ლოზუნგად იქცა და დღე არ გავა ისე, რომ ამ თუ იმ მიმართულების ორგანოში მის შესახებ არ ბჭობდენ. პარტიათა შეთანხმება უმთავრესად საქართველოს პოლიტიკურ ბედ-იღბლის გადაწყვეტას ისახავს მიზნად. საქართველო უნდა გამოვიდეს ამჟამად, როგორც მთლიანი სოციალური ერთეული, რისთვისაც მას ესჭირება მისი ნების ყოფის გამომხატველი ორგანო, ეროვნული საბჭო. ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო მით, რომ იგი გარს შემოიკრებს ერის მთელ ძალას ერის ბედ-იღბლის გამოსაჭედად, არამედ მითაც, რომ იგი ხელს გაუწოდებს სხვა ერებს, მათთან შესათანხმებლად, საერთო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად, რადგან შეთანხმება, ერთობა ძალაა, რომელიც შესძლებს ყველა ერისათვის საერთო მიზნის, ეროვნულ თავისუფლების, განხორციელებას.

ცხოვრება საოცარის სიჩქარით მიისწრაფვის წინ.

ჩვენ ქართველებს ჯერ ეროვნული საბჭოც ვერ შეგვიქმნია და იძულებული ვხდებით უკვე მორიგ კითხვად კავკასიის ერთა ყრილობა დავისახოთ.

გაზეთი „საქართველო“ აღძრულ კითხვების შესახებ სწერს.

„კავკასიის ერთა წარმომადგენლების მომავალ ყრილობას ყველა ის თვისებები უნდა ჰქონდეს, რითაც უნდა იყოს შემოსილი უფლებიანი საერთაშორისო კონფერენცია, დიპლომატიური შეხვედრა, ან სხვა მაგვარი რამ წარმომადგენლობა ერთა. ამისთანა კრებაზე ერები ისე უნდა გამოცხადდენ როგორც განსაზღვრული ერთეულები, წინდაწინ შემუშავებული პროგრამით და ერის წარმომადგენლობა ჭეშმარიტად ხალხის სურვილს უნდა გამოხატავდეს“.

ყრილობის დადგენილებებს რომ რეალური ძალა ექნეს, საჭიროა ერთი ეროვნული პროგრამა. გაზეთი სვამს კითხვას: გვაქვს თუ არა ქართველებს ასეთი ეროვნულ პროგრამაო? და განაგრძობს:

„ასეთი პროგრამა ქართველებს

გვაქვს — ეს გახლავთ პოლიტიკური ავტონომია საქართველოსი. იდეა ასეთის პროგრამისა ყოველ ქართველში სცხოვრობს, ქართველ ხალხის ყოველ ქართულ პოლიტიკურ პარტიაში, როგორც მის პოლიტიკურად პასუხისმგებელ დაწესებულებებში. მაგრამ არც ის არის დასამალავი არავისთვის, რომ მექანიკური გაერთიანება ამ იდეიისა ჩვენში ჯერ არ მომხდარა.

საზოგადო დებულება ყველა პარტიას ერთი აქვს, განსხვავება მხოლოდ დელეგატებშია. ეს დებულება არის საქართველოს ავტონომია, ხოლო დელეგატებს მისას შეადგენს შინაარსი, კომპეტენცია ტერიტორიის საზღვრები და მთელი რიგი სხვა კითხვებისა. ასეთი განსხვავება არსებობს, მაგრამ

„უიმედო ამ განსხვავებაში არაფერია, აქაც შეიძლება შეთანხმება, და სწორედ იმიტომ, რომ შეთანხმება შესაძლებელია, ყველაზედ უწინ ჯერ თვით ქართველებში უნდა მოხდეს ეს შეთანხმება.“

შემდეგ გაზეთი სრულიად სამართლიანად დასკვნის:

„ამ საქმის, ამ წმინდა ხალხოსნურ და დემოკრატიულ გაერთიანების საქმის მოწყობა მით უმეტეს აუცილებელი და შესაძლებელია, რომ მისი საჭიროება მომწიფდა ყველა ქართულ პოლიტიკურ წრეებში, მის პასუხისმგებელ ორგანოებში და მას მოწინააღმდეგე არავინ ეყოლება.

ჩვენ გვგონია დადგა დრო, როდესაც ამ საკითხმა ქართულ პოლიტიკურ წრეების სრული ყურადღება უნდა მიიპყროს.

* * *

ეროვნული სულისკვეთება ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენშიც რომ ერთგვარ გაცხოველებას განიცდის, ამის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. ქართველ მხედართა კავშირის ორგანო „ჯარის კაცი“ სწერს:

„სხვის იმედით ნურავინ იქნება. დღეს ისეთი ხანაა რუსეთის ცხოვრებაში, რომ არვის აქვს დრო სხვისათვის იფიქროს და რამე სასიკეთო მოაგვაროს...

ეხლა ჩვენც ისე უნდა დავიწყოთ, ისევე უნდა ვიაროთ, როგორც უკრაინელებმა და თუ მათ გაუძნელდათ თავისუფლების მოპოვება, ჩვენ უფრო გაგვიძნელდება. მაგრამ სიძნელე უვარგისობას არ ნიშნავს და ჩვენი ვალია დიდი ენერგია, დიდი მეცადინეობა და გამჭრიახობა გამოვიჩინოთ, რომ ნაკლების გაჭირვებით მეტი მივიღოთ. უკრაინა და ყველა ავტონომიის მოტრფიალე ერები ჩვენთან არიან, მაშასადამე შიში არა არის რა.

დროა, თუ სხვა არვინ იღებს თავზე ინიციატივას ჩვენი ერის შეყრისას ამ იდეის გარშემო, სამხედრო კავშირმა იდოს და მალე მოახდინოს საქართველოს პარტიათა დაწესებულებათა და საზოგადოებათა ყრილობა!.

* * *

„ალიონიც“ უბრუნდება პარტიათა შეთანხმების კითხვას და აღიარებს, რომ პეტროგრადში მომხდარი ამბები კიდევ მეტ საბაბს გვაძლევს ამ შეთანხმებაზე ლაპარაკის ჩამოსაგდებად

ასეთი შეთანხმება არა მარტო ეროვნული საქმისათვის არის საჭირო, არამედ იმიტომაც რომ წინააღუდგეთ.

„ცენტრიდან მოსალოდნელ კონტრ რევოლუციის იერიშს. რევოლუციის გამარჯვებისათვის ჩვენ ყველა ერთად ვართ და ცენტრს ვუკავშირდებით. რევოლუციის მოსალოდნელ დამარცხებისათვის ამა თუ იმ ცენტრში, ჩვენ მასთან კავშირს ვსწყვეტთ, რათა მისი ბედი არ გავიზიაროთ, და ადგილობრივ ვებრძვით კონტრ-რევოლუციას. ყველა ერის და კუთხის დემოკრატია ამ მიზნით უნდა შეთანხმდეს და დაირაზმოს. კერძოთ ჩვენთვისაც ასეთივე თადარიგია საჭირო, კავკასიის თუ ამიერ-კავკასიის დემოკრატია საერთოდ და თითოეულ ერის დემოკრატია კერძოდ — ქართველების, სომხების, თათრების და სხ. — უნდა შეთანხმდეს, მორიგდეს მთავარ საკითხთა და სამოქმედო გეგმის გარშემო, უნდა გაითვალისწინოს აწინდელი მდგომარეობა და მოსალოდნელი გართულება პოლიტიკური სიტუაციისა და წინასწარვე ყველაფერი იღონოს, რომ შეიარაღებული დახვდეს კონტრ-რევოლუციის საფრთხეს. უკრაინამ კარგი წასაბაძი მაგალითი გვიჩვენა. მიუხედავათ იმისა, რომ იქ მდგომარეობა ფრიად გამწვავებული იყო ეროვნული მოძრაობის გამო, კონტრ-რევოლუციამ თავი ვერ იჩინა, თუმცა დროც და გარემოებაც თითქო ხელს უწყობდა. ასეთივე უნდა იყოს ყველგან სიმტკიცე რევოლუციურ დემოკრატიისა. და მაშინ, ცენტრში კიდეც რომ გაიმარჯვოს კონტრ-რევოლუციამ, ადგილობრივი, ასე ვსთქვათ, რევოლუციური ოაზისები მას შეებრძოლება. დააბრკოლებს მის გავრცელებას და ადგილობრივ დაიცავს რევოლუციის დროშას. ყველა ამისათვის კიდევ და კიდევ საჭიროა შეთანხმება, მორიგება, მოლაპარაკება. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენში მოქმედ პარტიებს მყისვე თავს იდვას ეს საქმე და იზრუნონ შეთანხმებისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ კავკასიის ყველა ერის დემოკრატიასაც დაუყოვნებლივ შეუდგეს საერთაშორისო შეთანხმების თადარიგს.

დროს ნუღარ ვკარგავთ...“

ამასვე გავიძახოდით ჩვენც თავიდანვე და მუდამ მოუწოდებლით პარტიებს, კინკლაობისათვის თავი დაენებებინათ და საერთო მიზნისათვის სამოქმედო პლატფორმა გამოენახათ. ეხლაც მტკიცედ ვდგევართ ამ ნიადაგზე და კვლავ ვიმეორებთ, რომ სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ და შევქნათ ერის მისწრაფებათა გამომხატველი და განმახორციელებელი ორგანო. თავისუფლებისათვის მებრძოლ სხვა ერთა შორის ქართველებმა ერთგვარი განდგომილების პოზიცია დავიჭირეთ და ამ განდგომილების შედეგი ჩვენთვის უკვე ეხლაც საკმაოდ საგრძნობი ხდება.

## პ რ ე ს ა.

### ავტოკეფალობის შესახებ.

გაზეთ „სახალხო ფურცელს“ მოჰყავს შემდეგი ცნობა „რუსკ. სლოვო“-ნ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ.

„სინოდის კრებაზე გადასწყდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ობერ-პროკურორმა ლვოვმა დროებითი მთავრობის სახელით განაცხადა, რომ რუსეთის მმართველობას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საწინააღმდეგო არა აქვს რა სინოდის წევრებმა ერთხმად გადასწყვიტეს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგენილად იცნან ხოლო კანონიერი განხილვა მოხდეს არა კრებაზე. ამასთანავე ობერ პროკურორმა წინადადება შეიტანა განსაზღვრულ იყოს საქართველოს და რუსეთი ეკლესიების საზღვრები. სინოდმა პროექტის შედგენა მიანდო ობერპროკურორს ლვოვს. საქართველოს ეგზარხოსი ამიერიდან იწოდებს კავკასიის ეგზარხოსის სახელს“.

ამას გაზეთი თავის მხრივ შემდეგს შენიშვნას უკეთებს:

„ამ ცნობას ჩვენის მხრით დავსძენთ, რომ რუსეთის საეკლესიო კრებას არავითარი უფლება არა აქვს განიხილოს საქართველოს ეკლესიის საკითხი“.

სასიმოვნოა, რომ ფედერალისტებმა ქართული ეკლესიის თავისუფლების შესახებ დაიწყეს ლაპარაკი. წინეთ, როცა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის კითხვა უმწვერვალესად გამწვავებული იყო, სამწუხაროდ სოციალისტობამ ბევრს დაუშალა სიმპატიურ მოვლენას გამოქომაგებოდა. მაგრამ სჩანს ქართულმა გულმა მეტი შეურაცხყოფა ველარ მოითმინა და პროტესტიც კი გამოაცხადა.

* * *

### პოლონეთის ხალხის საბოლოო მიზანი.

მოსკ. გაზ. პოლსკა“ სწერს:

„პოლონეთის ხალხის წინაშე ამჟამათ სდგას საბოლოო და გარკვეული მიზანი: გაერთიანება და აღდგენა პოლონეთისა ბალტიის ზღვის საზღვრამდე. პოლონელებმა გადასწყვიტეს: გერმანელებს წაართვან მდ. ვისლის შესართავი ნაწილი. ეს მთელი ხალხის სურვილია. პოლონელები დარწმუნებული არიან, რომ დანციგი მათ სამფლობელოში შევა. და რეალ განხორციელებისთვის იგი შეთანხმებულია და ერთის ძალით მოქმედებს.

* * *

### სოც.-დემოკრატიულ მიმართულების დაქუცმაცება.

გაზ. „ნოვაია ჟიზნი“ (სოც. დემ.) სოციალ-დემოკრატიულ მიმართულების დაქუცმაცების და დაქსაქსვის შესახებ სწერს:

„სოც. დემ. პარტია რამდენიმე ფრაქციათ გაიყო. თავი, რომ დავანებოთ „ედინსტვოს“ (პლეხანოვის) და პოტრესოვის ჯგუფებს, რომელნიც განყენებულ პოზიციაზე სდგანან ან და მცირე მიმდევრები ჰყავთ, არსებობს 5—6 ცალკე გამოყოფილი ფრაქცია „მენშევიკ-ობორონცები, მენშევიკ-ინტერნაციონალისტები, გარეშე ფრაქციის მყოფნი“, „შეერთებულნი“ „სარაიონთა შორისო“ და „ბოლშევიკები“ ჩამოთვლილ დანაწილებულ წრეებში ყოველ დღე ხდება ახალ ახალი გათიშვები. პროცესი ომის მაჩვენებელია, რომ პოლიტიკური ორგანიზაციული ძალა თანდათან იშლება“.

## პეტროგრადის ამბები.

### „პრავდა“-ს რედაქციის გაჩხრეკა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 5. ოლქის შტაბის განკარგულებით გაზ. „პრავდა“-ს რედაქცია გაჩხრიკეს. გამჩხრეკთა შემდეგ მისულ ინვალიდებმა მთლად მოსპეს „პრავდა“-ს დაბეჭდილი ნომრები; ზოგი დასწვეს და ზოგიც მდ. მოიკაში გადაყარეს.

### მუშ. და ჯ.-კ. დეპ. საბ. აღმას. კომიტეტის მოწოდება.

**პეტროგრადი.** მკათათვის 6. ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ. აღმაშფოთებელმა დღეებმა, რომელიც პეტროგრადმა განიცადა მრავალ ხმებს ჰშობს. რევოლუციონურ მთავრობას მძიმე მოვალეობა უნდა ეკისრა. მას იმ მოძრაობასთანმოუხდა შებრძოლება, რომელმაც რევოლუცია უფსკრულის პირად მიაყენა და რომელმაც მცხოვრებთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია- რევოლუციონური მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს საჭირო რეპრესიების მინიმუმამდის დასაყვანად ამასთან იგი სცდილობს, რომ მოქალაქეთ მომეტებული შევიწროება არ მიაყენოს. მაგრამ მკათათვის 3 და 4 შევიწროებულ მოქალაქეებმა ჯავრის ამოსაყრელად თავიანთ ნებით დატუსაღებასა და ძალადობას მიჰყვეს ხელი. ასეთი ექსცესები კარგს არას უქადის რევოლუციას. ამბოხებას სარგებლობენ ბნელი ძალები და კონტრ-რევოლუციისათვის ემზადებიან. არავისაგან დადასტურებული ხმები მტკიცედ დამტკიცებულ ფაქტებივით ვრცელდება ხალხში. კონტრ-რევოლიუციონერთა ბეჭდითი ორგანოები სარგებლობენ ამაღელვებელ ამბებს და მეტ ბაღდამით აზავებენ ხალხში გასავრცელებლად. ხან ბოლშევიკების გერმანელებთან კავშირს დამტკიცებულ ფაქტად აღიარებენ, ხან ამა თუ იმ პირთა შეპყრობას ამცნობენ, ხან კიდევ ამა თუ იმ დაწესებულებათა აოხრების და იარაღის ასაყრელად მუშათა უბნის გაჩხრეკის ხმებს ავრცელებენ ხალხში. მოქალაქენო! არ ერწმუნოთ მათ. თუ ვის სჭირდება ასეთ ხმების გავრცელება ეს ყველა თქვენგანმა უნდა იცოდეს. მოითხოვეთ დასამტკიცებელი საბუთები იმ პირთაგან ვინც თქვენ აღმაშფოთებელ ამბავს გეტყვით. გამოიძიეთ ყველაფერი დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტში საქმეების გამოსაძიებლად ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტმა კომისიები შეადგინოს. კომისიები სწრაფად იმოქმედებენ. ყოველივე მნიშვნელოვან ამბებს კომისია საგანგებო ფურცლებით გამოაქვეყნებს. ეს ფურცლები დღეში ორჯელ დაიბეჭდება. ერწმუნეთ მხოლოდ ამ ფურცლებს. პროვოკატორებისა ნურა გჯერათ რა.

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის და სრ. რუს. გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო ები.

### ბოლშევიკი კოზლოვსკი შეიპყრეს.

**პეტროგრადი.** მკათათვის 6. საღამოს ცხრა საათზე შეიპყრეს ბოლშევიკი კოზლოვსკი (ნაფიცი ვექილი). მას საკუთარ ბინაზე სხდომის დროს მიასწრეს. შეიპყრეს აგრეთვე იქ მყოფნი და ჯავშნიან ავტომობილით ოლქის შტაბში მიიყვანეს.

### დემონსტრაციების აღკრძალვა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 5. სრულიად რუსეთის დეპუტ. საბჭოების ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტებმა პეტროგრადის მუშებს მოწოდებით მიმართა. მოწოდებაში ნათქვამია: ამ უკანასკნელ დღეებში ფაბრიკა-ქარხნების მომუშავეთ შეიარაღებული პირნი მუშაობის შეწყვეტას ურჩევდნენ. რა თქმა უნდა ასეთ გაფიცვების ცდას რევოლუციონურ დემოკრატის წარმომადგენლები არ მოიწადინებდნენ. ქუჩაში გამოსვლა და სისხლის ღვრა კონტრ-რევოლუციონერებს ახარებდა. რადგან ყოველივე გაფიცვა, ქუჩაში გამოსვლა, უწესოება ქუჩებში ნიადაგს უმზადებს კონტრ-რევოლუციას, აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა, რომ მისგან ნება დაურთველად შემდეგში არც მუშების და არც ჯარის კაცების დემონსტრაციები არ გაიმართოსო.

### საგანგებო კომისია.

დროებით მთავრობამ აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით გამოჰყო საგანგებო კომისია. ამ კომისიას იმ საქმეების განხილვა-გადაწყვეტა ევალება, რომელიც პეტროგრადის დამშვიდებასთან არიან შეკავშირებულნი. კომისია სრულს განწყობილებას იქონიებს ჯარის მთავარ-სარდლებთან. კომისიაში არიან დროებით მთავრობისაგან შრომის მინისტრი სკობელევი, სამხედრო სამინისტროს მმართველი ლებედევი და აღმასრულებელ კომიტეტებიდან დეპუტატი გოცი.

### პერევერზევი გადადგა.

იუსტიციის მინისტრ პერევერზევმა თანამდებობიდან გადადგომის შუამდგომლობა აღძრა დროებით მთავრობის წინაშე. მკათათვის 5-დან პერევერზევმა სამინისტრო მინისტრის ამხანაგ სკარიატინს გადასცა.

### ქშესინის სასახლე.

პეტროგრადის გარნიზონის ნაწილმა დღეს დილით გაანთავისუფლა ქშესინის სასახლე ბოლშევიკებისაგან. სასახლეში მრავალი იარაღი და ასაფეთქებელი მასალა იპოვეს. ამას გარდა შეპყრობილ იქმნა რამოდენიმე პირი, რომელნიც ჩვენების ჩამოსართმევად პეტროგრადის სამხედრო ოლქში გაგზავნეს.

### პეტრე-პავლეს ციხის განთავისუფლება.

პეტრ-პავლეს ციხის განსათავისუფლებად გაგზავნილ იქმნა ჯარის ნაწილი რომელიც მცირე წინააღმდეგობის შემდეგ მოწინააღმდეგენი იძულებულ ჰყვეს დანებებულიყვნენ. დღის 12 საათზე ციხე დაათვალიერა გენერალმა პოლოვცევმა.

### ჯარის მოსვლა პეტროგრადში.

**პეტროგრადი.** მკათათვის 6. აჯანყების ჩასაქრობად ფრონტიდან მოვიდა მიტავის პოლკი. სასახლის მოედანთან პოლკს სიტყვით მიეგება მაზურენკო. აგრეთვე სიტყვები წარმოსთქვეს სკობელევმა, ჩერნოვმა და აღმას. კომიტ. თავმჯდომარემ აკსენტიევმა რომელთაც იმედი გამოსთქვეს, რომ ჯარი მხარს დაუჭერს რევოლუციონურ მთავრობასო.

### კერენსკი პეტროგრადში.

მკათათვის 5-ს, საღამოს 9 საათზე, პეტროგრადში მოვიდა კერენსკი. კერენსკის შეატყობინეს რომ მოედანზე მოგროვილი ხალხი და ჯარი თხოულობს მის გამოსვლას, კერენსკიმ ფანჯრიდან მიმართა ხალხს. მისმა სიტყვამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილობა მოახდინა. კერენსკიმ დასწყევლა და მოღალატის სახელით მონათლა ისინი, რომელთაც უმანკო სისხლი დაანთხიეს პეტროგრადის ქუჩებზე.

### აჯანყებულთა დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემა.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა აჯანყებაში მონაწილენი დაატუსაღოს და როგორც სახელმწიფოს მოღალატენი პასუხისგებაში მისცეს.

### გაზეთ „ნოვოე ვრემია“-ს სტამბის განთავისუფლება.

დღეს, საღამოს ანარქისტებმა „ნოვოე ვრემიას“ სტამბა თავიანთი ნებით დასცალეს. ბრბომ სასტიკათ სცემა რამდენიმე ანარქისტს. ზოგი მათგანი დაპატიმრებულია და კომისარიატში იქნა გაგზავნილი.

### დურნოვოს აგარაკი.

დურნოვოს აგარაკი ამ ჟამად იუნკრების ხელშია.

### აჯანყებულებმა მორჩილება განაცხადეს.

პეტრეპავლეს ციხეში მოვიდა აჯანყებულთა დელეგაცია და განაცხადა, რომ აჯანყებულნი, რომელნიც ამ ჟამად ვასილევის კუნძულზე არიან გამაგრებულნი, იარაღს ჰყრიან და დროებით მთავრობას მორჩილდებიანო.

### დროებითი მთავრობის დაცვა.

პეტროგრადში თანდათან მოდის ფრონტიდან ჯარი, რომელიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს დროებით მთავრობის დასაცავად.

### ქარხნებში მუშაობის დაწყება.

დღეს პეტროგრადის ქარხნებში მუშაობა განახლდა. მუშებში მშვიდობიანობა მყარდება.

### ლენინის ბინის გაჩხრეკა.

ლენინის ბინა გაჩხრიკეს. ლენინი ჩხრეკის დროს შემთხვევით სახლში არ იყო.

### კერენსკის სიცოცხლეს ემუქრებოდნენ.

დღეს მოვიდა დაწვრილებითი ცნობა, რომ პოლოცკში ბრბომ კერენსკის სიკვდილი მოინდომა. საბედნიეროდ კერენსკი გადარჩა ბრბოს სამართალს.

### ხმების უარის ყოფა.

დროებით მთავრობა აბათილებს იმ ხმებს, ვითომც მთავრობის მოხელენი მუშებს სჩხრეკდნენ, იარაღს ართმევდნენ და აპატიმრებდნენ. სჩხრეკდნენ არა ყველას, არამედ მათ, ვინც აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ამ შემთხვევაში დროებითი მთავრობა აღმ. კომიტეტთან შეთანხმებით ჰმოქმედებდა.

### დროებით მთავრობის განცხადება.

დროებით მთავრობა აცხადებს, რომ ის სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს კერძო პირების მიერ დაპატიმრება ჩრეკარბევას. დამნაშავენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

### მომქმედი ჯარი მხარს უჭერს დროებით მთავრობას.

სამხრეთ დასავლეთის მომქმედ ჯარის შტაბში გადაწყდა სრული ნდობა გამოეცხადოს დროებით მთავრობას და ზიზღი მათ, ვინც დროებით მთავრობის სახელის გატეხა მოინდომა.

### გაზეთ „იზვესტიას“ აზრი.

გაზეთ „იზვესტიას“ მკათათვის 6 შემდეგი მოწინავე არის: — დღეს ფრონტიდან პეტროგრადში მოვა ჯარის ნაწილი. გაიგეს რა ჩვენმა ამხანაგებმა, რომ პეტროგრადს და მის ცენტრალ დემოკრატიულ ორგანოებს ემუქრებიან, ჩვენ საშველად გამოსწიეს. ჩვენი ჯარისკაცები გაჭირვებაში მყოფი, ყველაფერს მოკლებულნი, თავიანთი სისხლით იცავდნენ საყვარელ სამშობლოს ყოველივე მტკაველ მიწას, და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ზურგი ამ სამამულიშვილო საქმეში მას ხელს შეუწყობდა. მაგრამ როდესაც ჯარმა სანგრებში გაიგო, რომ რევოლუციას საფრთხე ელის, მიატოვა ბრძოლა და აქ წამოვიდა... რევოლუციონურმა პეტროგრადმა უნდა შეიგნოს, ჯარის აქ მოსვლა დაღუპავს რუსეთს და მის თავისუფლებას. დრო არის დემოკრატიულმა მასსამ შეიგნოს თავისი მოვალეობა რევოლუციის წინაშე.

### დამნაშავე პოლკების დაშლა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 7. დროებით მთავრობამ დაადგინა, რომ სამხედრო-საზღვაო მინისტრის განკარგულების მიხედვით, დაიშალოს ჯარის ის ნაწილები, რომელთაც მკათათვის 3, 4 და 5 შეიარაღებულ ამბოხებაში მიიღო მონაწილეობა.

### ტყვიის მფრქვეველთა პოლკი აღმას. კომ. ჰმორჩილდება

**პეტროგრადი.** მკათათვის 5. ტყვიის მფრქვეველთა პირველ პოლკის წარმომადგენლებმა აღმასრულებელ კომიტეტს თავიანთი მორჩილება განუცხადეს. პოლკში კომისრის დანიშვნას მოითხოვენ.

### ავტომობილები აღმასრულებელ კომიტეტს

**პეტროგრადი.** მკათათვის 3. აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით დაიჭირეს და მასვე გადასცეს კშესინსკაიას სასახლესთან მდგომი 4 ჯავშნიანი ავტომობილი.

### თბილისიდან

7 ივლისს ნაშუადღევის 2 საათზე აკაკი ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

დღეს ქალაქში აღდგენილ იქნა რევოლიუციონური წესიერება და მშვიდობიანობა. ჯარის ერთი ნაწილი შეეცადა პეტრე-პავლეს ციხის ხელში ჩაგდებას. დღის პირველ საათზე ეს მათი ცდა უნაყოფოდ დამთავრდა. მთელი პეტროგრადის ჯარი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაშია. მუშათა ზოგიერთ უბნებში აღელვება რამ ენიმეთ გაგრძელდა ცოტა ხანს, ვინაიდან ამ უბნებში შეიარაღებულ პირთა იარაღის აყრას მიჰყვეს ხელი. ზოგიერთი ქარხნების მუშებმა იარაღის აყრის წინააღმდეგ პროტესტი გააცხადეს. აღმასრულებელი კომიტეტის ცენტრალურმა ბიურომ გადასწყვიტა ჩამოართვას ყველას შენახული იარაღი. თავდაცვის მიზნით შეიძლება იარაღის დატოვება. სხვაგვარ ექსცესებს დღეს არსად ადგილი არ ჰქონია. არის ყოვე

ლივე იმედი, რომ მომხდარი ამბები სასურველად დამთავრდება. დღეს ნაშუადღევს ტრამვაის მოძრაობა დაიწყო. გახსნილი ხიდეები შეერთებულ იქნა. ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გუშინ მთელი რიგი დადგენილებებისა გამოიტანა, რასაც აქვე გაცნობებთ.

პირველი დადგენილება. მოგვწონს რა დროებით მთავრობის გადაწყვეტილება რომ გაერთიანებულ იქნას მოქმედებანი პეტროგრადის სამხედრო ოლქში რევოლიუციონური წეს რიგის აღდგენის საქმეში, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო და სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ვადგენთ: მიენდოს ამხ. ა. გოცს და ნ. დ. აქსენტიევს სამოქმედოთ მჭიდროდ შეუკავშირდნენ დროებით მთავრობის დელეგატებს და მიიღონ ყოველივე ზომები ცხოვრებაში გასატარებლად იმ დადგენილებათა, რომელსაც გამოიმუშავებს აღმასრულებელ კომიტეტებთან შემდგარი სამხედრო კომისია.

მეორე დადგენილება ეხება მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ ცენტრალურ კომიტეტების პლენარული სხდომების მოწვევას. ამ სხდომაზე უნდა გადაწყდეს ახალი მთავრობის ორგანიზაციის მოწყობის საკითხი. სხდომა დანიშნულია 15 ივლისისათვის. მთავრობაში ამჟამად 9 კაცი დარჩა, ვინაიდან გზათა მინისტრი ნეკრასოვი წავიდა. მთავრობა განაგრძობს ბჭობას შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

მესამე დადგენილება ეხება პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ორგანიზაციის მოწყობის განახლებას. ეს სააგენტო ცალმხრივათ, მიდგომით აშუქებს რუსეთში მომხდარ ამბებს. ისე ასწერს ამბებს, თითქოს რუსეთში ყველაფერი რევოლიუციონური დემოკრატიისა და დროებითი მთავრობის საწინააღმდეგოდ ხდებოდეს. შემდეგი დადგენილება ბიუროსა ეხება თავიდანვე გავრცელებულ ხმებს, თითქოს ლენინს და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს გერმანიის სამხედრო შტაბთან კავშირი ჰქონდეთ. აი, ამ დადგენილების ტექსტიც: ვინაიდან ზოგიერთ გაზეთებში და აგრეთვე ფურცლებში, რომლებსაც ქუჩებში ავრცელებენ, ჩირქი ეცხება აღმასრულებელი კომიტეტების წევრებს, რომლებიც „ბოლშევიკების" ფრაქციას ეკუთვნიან, კერძოდ კი ლენინს—მათ აბრალებენ სახელმწიფო ღალატს—ამის შესახებ მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო და სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ ამით ამის შესახებ შესაფერი ზომები უკვე მიღებული აქვთ უნდა ეს საქმე სავსებით და სისწორით იქმნას გამოძიებული საქმეს გამოიძიებს როგორც სასამართლოს ორგანოები ისე საგანგებო კომისია, რომელიც გამოიყოფა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობისაგან. ამ გამოძიებას შედეგათ შემდეგი მოჰყვება: თუ დამნაშავენი აღმოჩნდენ ზემოხსენებული პირნი ღალატში, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებიან ისინი, ვინც ასეთ ცილისწამებას ავრცელებენ. ამავე საკითხის შესახებ ბიუროს მეორე დადგენილება ასეთია: ვინაიდან ქალაქში ხმები გავრცელდა და შემდეგ გაზეთებშიაც დაიბეჭდა ნ. ლენინისა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებს ფულები მიეღოთ ნემეცთა საეჭვო, ბნელი წყაროებიდან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ „ბოლშევიკთა" ფრაქციის თხოვნის თანახმად ამ საქმის გამოსაძიებლად შესდგა კომისია. ამიტომ საქმის გამოძიებამდე ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა თავი შეიკავოს ყველამ როგორც ამ ხმების გავრცელების ისე მისი დაფასების საქმეში ყოველგვარი გამოსვლები ამ საქმის შესახებ საქმის გამოძიებამდე ცენტრალურ კომიტეტს შეუძლებლად მიაჩნია.

ამ ჟამად დახურულ კარებში სწარმოებს მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. სხდომის საყურადღებო გადაწყვეტილებებს ხვალ გაცნობებთ.

გაზ. „სოც. დემოკრატის" დეპეშა.

პეტროგრადიდან პირდაპირ აკაკი ჩხენკელს ატყობინებენ: სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა ცენტრალ კომიტეტის ცნობით პეტროგრადში სრული სიწყნარეა. ქარხნები მუშაობენ. ქუჩებში ჩვეულებრივი მოძრაობაა. მსჯელობენ, თუ, როგორი ზომები მიიღონ, რომ რევოლუციური მოძრაობა კალაპოტში ჩააყენონ. ღამით 8 ივლისს მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა ცენტრალ კომიტეტების შეერთებულ სხდომაზე მეტათ საყურადღებო ზომები გადასწყვიტეს. ეს გადაწყვეტილებანი მოკლეთ ასეთია: დაუყონებლივ განხორციელდეს ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც სრულიათ რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებმა მიიღო და რომელიც ძველი წესწყობილების ნაშთების სრულიათ მოსპობას და განადგურებას შეეხება დაუყონებლივ განხორციელდეს დემოკრატიული რესპუბლიკა; მუშათა და გლეხთა საკითხში (მიწის კითხვა) აუცილებლათ უნდა განხორციელდეს საჭირო ზომები. ლვოვის წასვლა გამოიწვია ორ ძირითად კითხვაში აზრთა სხვადასხვაობამ; ესაა: რუსეთის რესპუბლიკანურ წესწყობილების ზეიმურათ გამოცხადება და ცხოვრებაში მოუცდელათ, დაუყონებლივ მიწის საკითხის გადაჭრა, იმსგვით, როგორიც იყო ჩერნოვის რეზოლიუცია, მინისტრთა საბჭოში თავჯდომარეობა შეიძლება კერენსკიმ აიღოს, შინაგან საქმეთა სამინისტრო ფიქრობენ გადასცენ წერეთელს, რომელიც ფოსტა ტელეგრაფის სამინისტროს პორთფელსაც შეინახავს.

ლენინის, ზინოვიევის, კამენევის და ტროცკის დაჭერის შესახებ ორდერზე ხელი მოაწერეს მათ ბრალს დებენ აჯანყების ორგანიზაციაში.

## რევოლუციის ამბები.

3. დ. ს.

### დეპეშები.

შეამბოხეთა იარაღის აყრა.

პეტროგრადი. ივლისის 8. დროებითით მთავრობის აღმასრულებელმა კომიტეტმა იარაღი აჰყარა ტყვიისმფრქვეველთა 1 სათადარიგო პოლკს. იარაღის აყრა სასახლის მოედანზე მოხდა. ამ პოლკი ჯარისკაცებმა ტყვიისმფრქვეველები და თოფები გორგოლებზე მოუტანეს. მთელი მოედანი მთავრობის ჯარს ჰქონდა დაკავებული და იარაღს იღებდა.

ამბოხება გერმანელთა აგენტების მიერ იყო მოწყობილი.

პეტროგრადი. ივლისის 7. საზღვაო მინისტრის რადიოტელეგრამა. როგორც გამოირკვა, ყველა ეჭვს გარეშე, პეტროგრადის არეულება გერმანეთის მთავრობის აგენტების მიერ ყოფილა მოწყობილი. ეხლა არეულობა სრულიად შეწყვეტილია. დავატუსაღეთ ხელმძღვანელნი. რომელთაც ძმების სისხლით გაისვარე, ხელები და ბოროტმოქმედება ჩაიდინეს სამშობლოსა და რევოლუციის წინაშეს აგრედვე გაჩხრიკეს ის მეზღვაურნი რომელთა თავის სამხედრო და მოქალაქეობრივი მოვალეობა დაავიწყდათ: დემოკრატიის ყველა შვილებს მოვუწოდებ შემოკრბენ დროებითი მთავრობისა დასრულიად რუსეთის დემოკრატიის ორგანოების გარშემო სამშობლოსა და რევოლუციის გადასარჩენათ, როგორც გარეშე მტრისაგან, ისე კიდევ მის შინაურ მოკავშირეთაგან... კერენსკი.

ბრძანება ფლოტსა და ჯარს.

პეტროგრადი. ივლისის 7. რევოლუციის პირველ დღეებშივე ბალტიის ფლოტზე მსახურთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომელნიც გერმანელ აგენტების და პროვოკატორთა ზედგავლენით ხალხს რევოლუციისათვის მავნე მოქმედებისაკენ მოუწოდებდენ, ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი გმირი ჯარი თავგანწირულად სამკვდრო სასიცოცხლოდ შეება მტერს, მაშინ როდესაც თავის მძიმე მოვალეობის შესრულებას შეუდგა, ბალტიის ფლოტის ერთმა ნაწილმა „რესპუბლიკისა" და პეტროპავლოვსკის" მეთაურობით თავის ძმებს ზურგში ხანჯალი ჩასცა; შეტევის საწინააღმდეგო რეზოლუციები გამოჰქონდათ. მოუწოდებდნენ არ დამორჩილებოდნენ რევოლუციას. მ. ჯ. და გლ. სრულიად რუსეთის კომიტეტში არჩევნების დროს ძალადობას იჩენდნენ. გახურებულ შეტევის დროს ამით პეტროგრადში ამბოხება მოახდინეს, რამაც მტერთან მებრძოლი ჩვენი ჯარი საფრთხეში ჩააგდო. როდესაც დროებითმა მთავრობამ სრულიად რუსეთის მუშ ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების თანხმობით არეულობის ჩაქრობაში დასახმარებლად ბალტიის ფლოტი გამოიწვია. ბალტიის ფლოტის ცენტრალ კომიტეტმა ყალბი განმარტებით ღრევა შეიტანა მეზღვაურთა შორის; ეს მოღალატენი რევოლუციის ერთგულ ხომალდთა პეტროგრადში გაგზავნას წინ აღუდგა. ხომალდები აიძულეს კერძო, დამოუკიდებელი გამოსვლები მოეხდინათ. მთავარ კომისარის სნიპნოს მაგივრად ახალი დანიშნეს, დაადგინეს სამხ. მინისტრის თანაშემწის 1 რანგის კაპიტანის დუდარევის დატუსაღება და მუშ., ჯარ. და გლეხ. სრულიად რუსეთის საბჭოების აღმ. კომიტეტს მოთხოვნილებანი წარუდგინეს.

რამოდენიმე პირთა მოღალატეობრივ მოქმედებამ დროებითი მთავრობა აიძულა ებრძანებია მათი დატუსაღება. დრ. მთავრობამ დაადგინა: დაეტუსაღებიათ ბალტიის ფლოტის დელეგაცია. მათ მოქმედების გამოსაძიებლად კომისია უკვე დანიშნულია. ბალტიის ფლოტის ცენტრალი კომიტეტი ხელმეორედ უნდა იქნეს არჩეული; 2) გამოეცხადოს ბალტ. ფლოტის მსახურთ ჩემი ბრძანება: თავის წრიდან დაუყოვნებლივ განდევნონ საეჭვო პირნი, რომლებიც შეტევის წინააღმდეგ ქადაგებდნენ და გასამართლებისთვის წარმოადგინონ ეს პირები: 3) იმ გემების მსახურთ, რომელთა სახელიც კონტრევოლუც. გამოსვლებით არის ჩირქმოცხებული, ვუბრძანებ 24 საათის განმავლობაში დაატუსაღოს უწესრიგობის დამწყებნი, გასასამართებლად პეტროგრადში წარმოადგინოს და აგრედვე სიტყვა დასდონ, რომ დრ. მთავრობას დაემორჩილებიან. ვაცხადებ: თუ ეს განკარგულებანი ბალტიის გემებმა არ მიიღეს, ისინი სამშობლოსი და რევოლუციის მოღალატეებათ იქნებიან გამოცხადებულნი და მათ წინააღმდეგ უსასტიკესს ზომებს მივმართავთ.

ამხანაგებო! სამშობლო დაღუპვის პირზეა. მთავრობისადმი ღალატის გამო მის თავისუფლებას სასიკვდილო საფრთხე მოელის. გერმანეთის ჯარმა უკვე დაიწყო შემოტევა ჩვენს ასპარეზზე. ყოველ საათში მოსალოდნელია მტრის ფლოტის ამოქმედება, რომელსაც შეუძლია დროებითი აღრევით ისარგებლოს. ომის აღმოსაფხვრელად საჭიროა მტკიცე ზომები. ჯარმა ეს მიიღო. მოგიწოდებთ შემოკრბეთ დროებითი მთავრობისა და სრულიად რუსეთის დემოკრატიის ორგანოების გარჩემო, რათა თავი დავიცვად. გარეულ მტრის მედგარი შემოსევისა, ჯარს ზურგის გასამაგრებლად და შინაურ მტრების უკუსაქცევათ. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ წაკითხულ იქნეს ფლოტის ყველა გემზე. კერენსკი.

დანიშვნები და გადადგომა.

პეტროგრადი. ივლისის 7. უმაღლეს. მთავარსარდლის განკარგულებით გადაყენებულ ლენ. გუტორის მაგივრად სამხ. დასავლ. ასპარეზის მთავარსარდლად დაინიშნა ინფანტერის დენ. კარნილოვის მაივრად დაინიშნა გენ. ლეიტენანტი ჩერემისოვი. მეოთხე ქვეითა დივიზიის უფროსი გენ. მეიმოვსკი 1 საგვარდიო კორპუსის უფროსად დაინიშნა.

დროებითი მთავრობისაგან.

პეტროგრადი. ივლისის 8. სამი კვირის წინად თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა სამხ: დასავ. ასპარეზზე უმაღლეს მთავარ სარდლის წინამძღვრობით მძლე რევოლუციურ აღფრთოვანებული ჯარი შეტევაზე გადავიდა. მან ხელთ იგდო 36000 ტყვე, 90 ზარბაზანი და 400 ზე მეტი ტყვიის მფრქვეველი. დღეიდან 18 ივნისის პოლკების სახელი რევოლუციის ისტორიაში იქნება შეტანილი. ამ გმირებმა საკუთარი სიცოცხლე რევოლუციის სიცოცხლეს შესწირეს. რომელსაც ბრძოლის ველიდან ვილჰელმის ერთგული ხიშტები ემუქრება, ხოლო შიგნიდან ღალატი.

შინაური აღრევა ხალხმა თვით ჩააქრო ხოლო რევოლუციას მაინც საფრთხე ელის. მტერმა თავის მხრით ძალა მოიკრიბა და შეტევა იწყო. დაე, მტრის ორივე იერიშმა, ბრძოლის ველიდან შეტევით და შიგნით გამოწვეულ აღრევით, უფრო მჭიდროდ შეაკავშიროს ისინი, ვისთვისაც რუსეთი და მისი თავისუფლება უბრალო სიტყვები არ არის.

წითელი დროშებით ხელში საბრძოლველად წასული თქვენი ძმები მოგიწოდებენ ყველას თავისუფლების დასაცავათ და მტკიცე ზავის სამართლიან პირობების მოსაპოებლად. რევოლუციურ ხალხის სურვილისამებრ თქვენი სამხედრო უფროსის ბრძანების გაგონებისთანავე მედგრად გასწიეთ წინ. ყურადღებას ნუ მიაქცევთ მხდალებსა და ორგულებს დაიცავით თავისუფლება, სამშობლო გადაარჩინეთ!

## მსოფლიო ომი

3. დ. ს.

### დეპეშები

აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი**. ივლისის 8. დვინსკის სამხრ. დასავ. მტერი ზარბაზნების სროლას აძლიერებს. ზოლოჩევის მიმართულებით ივლისი 7 მტერი წინსვლას განაგრძობდა. ჩვენი ჯარი სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენდა, ზოგან ბრძანებას არ ასრულებდა და უკან იხევდა. საღამოთ ჩენუვ-გლადკივიჩუდუვის ხაზზე შედგა-ვიზუპოტუტორის ხაზზე ჩვენ თხრილებს გერმანელები დრო გამოშვებით მედგრად უშენენ ზარბაზნებს. მდ. ლომნიცაზე და სოფ. ნოვიცასთან მტერი რამდენჯერმე გადმოვიდა შეტევაზე. მაგრამ მოვიგერიეთ, მხოლოთ ამ სოფლის ჩრდ. აღმ. ხელთ იგდო მტერმა ერთი სიმაგრე. დანარჩენ ასპარეზზე მზვერავთა მოქმედება და სროლაა.

რუმინეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი**. ივლისის 8 მდ. რამნიკის პირში საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერი ჩვენს პოზიციებს ეკვეთა, მაგრამ რუმინელებმა კონტრ იერიშით წინანდელი მდგომარეობა აღადგინეს.

კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი**. ივლისის 8 მდგომარეობა უცვლელია.

მფრინავთა მოქმედება.

**პეტროგრადი**. ივლისის 8. თოფის სროლით გერმანელთა ერთი საფრენი ძირს ჩამოვაგდეთ და მფრინავები დავატყვევეთ.

დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი** ივლისის 7. საღამოს ოფიც. სენკანტენის სამხ. აღმ. ორივე მხარე საარტილერიო ცეცხლს აძლიერებს. მულენ კუვანის მიდამოებში რამდენიმე სანგარი დავიპყარით. ენის ჩრდ. ზარბაზნების სროლა გაცხოველდა. შამპანში ზარბაზნების სროლა გრძელდება. დანარჩენ ასპარეზზე სიწყნარეა.

## თავდასხმა ჩხენკელზე-

განზ. „სოც. დემოკრატის" დეპეშა

**თფილისი**. კოჯორის გზაზე აკაკი ჩხენკელს და მის ოჯახობას ავტომობილში თავს დაესხა სამი შეიარაღებული უცნობი პირი. შემთხვევით აქ მყოფნი მილიციონერები მიეშველენ. ერთი დაჭრილი დააკავეს. მის პიროვნების გამორკვევას შეუდგენ.

## ახალი ამბავი.

◆ საგუბერნიო ყრილობ. კვირას, ივლისის 9, ქუთ. ქალაქის თეატრის დარბაზში გაიხსნა საგუბერნიო ყრილობა. ყრილობა პირველ წუთებიდანვე საინტერესო გამოდგა, კრება გახსნა გუბ. კომისარმა ილია ჩიქოვანმა. წაკითხულ იქნა სამაზრო კომისარების მოხსენებები. გუშინ სხდომები გაგრძელებულ იქნა ყრილობა თითქმის ერთიანად ეზდეკებისაგან შესდგება, ბევრი საყურადღებო ცნობები იქნა გამოქვეყნებული.

◆ თხოვნა. განჯის გუბერნიის ზანგეზურის მომრიგებელი შუამავალი გ. მირზაშვილი, სთხოვს ქუთ აღმ. კომიტეტს გადმოყვანილ იქმნას შორაპნის მომრიგებელ შუამავლათ.

◆ სკოლის ნაციონალიზაცია. რადგან ენკენისთვიდან ქუთაისის გუბერნიაში სკოლის ნაციონალიზაცია უნდა მოხდეს ამისთვის შესაფერი განკარგულება ქუთ. სამოსწავლო საქმეთა კომისარებმა ბ. ი. ოცხელმა, ს. ხუნდაძემ და ს. რობაქიძემ უკვე დაუგზავნეს სხვა და სხვა. სასწავლებლების ინსპექტორებს და დირექტორებს.

◆ თხოვნა. ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა სამართველო სთხოვს ქუთაისის აღმ. კომიტეტს, მიეცეს სახელმწიფო ტყეების მცველების პატრონები, გარეულ ცხოველების მოსაგერებლათ.

— ქუთ. გუბ. სამოსწავლო ოლქის კომისარიატის მოწოდება. ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატი სთხოვს საქართველოს გარეთ მოსამსახურე ქართველ მასწავლებელთ შეძლებისამებრ დაჩქარებით აცნობონ მას, თუ რომელსამე მათგანს სურს გადმოყვანილ იქნას სასწავლებელში პირველ დაწყებითის უმაღლეს სასწავლებელსა და საშვალო სასწავლებლის პირველს ოთხ კლასში სამსახური.

ადრესი: кутаисъ. Комиcapiaтъ по учебному вѣдомству.

— გამოქცეულთა და მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ქვეშევდომთა შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული დეპ. ა. ჩხენკელი ამიერ კავკასიის აღმ. კომიტეტებს ატყობინებს, რომ ყველა იმ პირებმა, რომლებიც მოპირდაპირე სახელმწიფოს ქვეშევრდომათ ითვლებიან და ამჟამათ ამიერ კავკასიაში სცხოვრობენ, დაუყოვნებლივ უნდა დასტოვონ კავკასიის საზღვრები უნდა გავიდენ აგრეთვე ოსმალეთის ქვეშევრდომი.

— უცხოეთში მგზავრობის შესახებ. შინაგან საქმეთა 1—ლ დეპარტამენტის კომისარი სიდამონერისთავი ატყობინებს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ დიდ ბრიტანეთის საელჩოს მოხსენების თანახმათ, წყალქვეშა ომის გამო მიმოსვლა ნორვეგიასა და ინგლისს შორის სრულიათ შეწყვეტილია, რის გამოც რუსეთიდან ნორვეგოთ ინგლისში გამგზავრება შეუძლებელია. იმპირთ, რომელნიც მთავრობისგან იქნებიან განსაკუთრებულ მინდობილ იყო ინგლისში გაგზავნილი გადაიყვანებენ მხოლოდ ზღვით. ჩრდილოეთს.

◆ უწესოება აგრარულ ნიადაგზე გორის მაზრის რამდენიმე სოფლებში აგრარულ ნიადაგზე ექსცესები მოხდა.

◆ შეღავათის მიცემის მოსპობა სამხედრო მინისტრის განკარგულებით დღეიდან ჯარის კაცებს და სხვა სამხედრო მოსამსახურეთ დასასვენებლათ დრო (ოტპუსკი) აღარ მიეცემათ.

◆ კრება. ივლისის 11-ს ქუთაისში მოხდება იმერეთის სამღვდელოების არა ჩვეულებრივი თათბირი საქართველოს ეკლესიის ექსტერიტორიულ ავტოკეფალობის შესახებ.

— სამხედრო მინისტრის განკარგულებით აღიკრძალა ჯარში გავრცელება შემდეგი პერიოდიული ორგანოებისა: „პრავდა", „სალდაცკაია პრავდა" და „ოკოპნაია პრავდა„-სი.

◆ დამტკიცება დებულებებისა. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დაამტკიცა საოლქო და ადგილობრივ საადგილ მამულო კომიტეტებთა დებულება.

◆ **დავკარგე** გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციიდან მოცემული სამსახურის მოწმობა, რაც სხვისთვის გამოუსადეგარია. მპოვნელს ვთხოვ მოიტანოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

### თბილისი.

— საქალაქო არჩევნები. ხმოსანთა არჩევნების დღეს თითოეული ამომრჩეველი საარჩევნო კრებაზე შესვლისას ვალდებულია წარადგინოს საარჩევნო ბარათი თავის პიროვნების დასამტკიცებლად. თუ ხსენებული ბარათი არ წარადგინა, ისე საარჩევნო კრებაზე არ დაუშვებენ. საარჩევნო ბარათები ამომრჩევლებს საკუთარ ბინაზე დაურიგდებათ. თუ რომელიმე ამრჩეველმა რაიმე მიზეზის გამო თავის დროზე ვერ მიიღო საარჩევნო ბარათი უნდა მიმართოს საარჩევნო კომიტეტს, კომიტეტი მისცემს მას ბარათს, რა თქმა უნდა, თუ ამრჩეველს აქვს მისი მიღების უფლება. საარჩევნო ბარათებთან ერთად ამრჩევლები მიიღებენ ცარიელ კონვერტებს, რომელზედაც დასმული იქნება საარჩევნო კომიტეტის ბეჭედი. ამ კონვერტებში უნდა ჩაიდვას საარჩევნო ბიულეტენი, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნას კანდიდატების სია და სიის ნომერი, შეიძლება პარტიის ან ჯგუფის, რომელიც ადგენს სიას, სახელის აღნიშვნაც. შემდეგ კონვერტს ჩაუშვებენ საარჩევნო ყუთში. თუ ვინცობაა ყუთში აღმოჩნდა კონვერტი, რომელსაც საარჩევნო კომიტეტის ბეჭედი არ ექნება დასმული, ასეთ საარჩევნო ხმას ძალა ეკარგება, ამისთვის ამრჩეველებმა მიღებული კონვერტი უნდა შეინახოს სუფთად, ამრჩეველს აქვს უფლება ხმა მისცეს იმ რაიონში, რომელშიაც იგი სცხოვრობს. ქალაქის სხვა ნაწილებში და გან-

აპირა უბნებში (საბურთალო, ვაკე, არსენალი, სამხედრო ჰოსპიტალი, სასალახო, ავჭალა, მუშტაიდი და სხ.) სულ 83 დარბაზია დანიშნული არჩევნებისათვის.

„სოფლის მუშა“. ამ დღეებში გამოვა სოციალ დემოკრატიული ყოველ-კვირეული ჟურნალი „სოფლის მუშა“.

ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას განზრახული აქვს, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, შემოდგომაზე სურათებისა და ქანდაკებათა გამოფენა გამართოს.

—მონოგრაფია ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ. გ. ელი ეგანბიური ამზადებს დასაბეჭდათ მონოგრაფიას ქართველ მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილის შესახებ.

—საფარის მონასტერი. თბილისში მიღებულ ცნობის თანახმად, ახალციხის მახლობლად მდებარე საფარის მონასტერში მშვენიერი ძველებური კედლის მხატვრობა კირით შეულესიათ.

## ქართველ ხელოვნების ცხოვრებიდან მე-18 საუკუნეში.

ჩემ მკითხველს უეჭველია ეცოდინება, რომ იონა ხელაშვილმა „კაცმა ფრიად განათლებულმა“ და ბატონიშვილმა იოანემ შეადგინეს მე-18 საუკუნის დამლევს ერთი შესანიშნავი წიგნი, სახელად „კალმასობა“. ეს წიგნი შინაარსით ძალიან მდიდარია. აქ მდაბიო და გასაგებ ენით მოთხრობილია ფილოსოფია, ისტორია, ღვთის მეტყველება, საქართველოს ზნე-ჩვეულებანი და საერთოთ იმ დროს სხვადასხვა ჭირ-ვარამი.

აი ამ შესანიშნავ თხზულებაში აწერილია ერთი დამახასიათებელი სურათი, ნამდვილ ცხოვრებიდან ამოღებული.

იონა ხელაშვილს ეწვია სამეგრელოდამ ერთი იქაური ბერი. ამან დაწვრილების დაათვალიერა საქართველოს სატახტო ქალაქი თბილისი და და განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება ქალაქის ბაზარს და იმ ადგილებს, სადაც მრავალგვარი პროფესიის ხელოსნები მუშაობდენ... აი თვით ეს სურათი:

„შევიდენ ბაზარში—სწერია „კალმასობის“ წიგნში იონა და მეგრელი ბერი და იხილეს იქ ოქროს მჭედლები, მსხდომარე დუქნებში, სადაც ელაგა მრავალი ვერცხლის იარაღი და სხვა საჭაური.

შემდეგ მივიდენ მექოშეებთან და იხილეს მთელი დუქანი სავსე ქოშებით, იხილეს აგრეთვე სარაჯები, რომელთა დუქნებში ცხენის იარაღები მზად ჰქონდათ დაწყობილი. აქიდან რო გამოვიდენ, ნახეს ყაზაზები. მეგრელმა ბერმა, რომ დაინახა მრავალი ძაფი და და ზორანი, ხმა მაღლა წამოიძახა: ამდენი„ ძაფი და ზორანი ნეტა რათ უნდათ, რა უნდა შეკერონ ამდენიო“?. შემდეგ ამისა მივიდენ ბაზაზებთან და იქ ნახეს მრავალგვარი ფარჩები, სხვადასხვა ფერისა და ღირსებისა. იხილეს მრავალი სკალათი, ჩითი ანუ ლეინი. აქედამ მივიდენ იმ ალაგს, სადაც მკერვალები მუშაობდენ. აქ ბერმა დაინახა მრავალი ტანისამოსი უკვე შეკერილი. ყველა ამ სანახაობით მეგრელი ისეთ განცვიფრებაში მოვიდა, რომ ვეღარ მოითმინა და თავის თანამგზავრს ასეთი სიტყვებით მიმართა: „ეტყობა, შიშველ კაცს მოელიან, რომ ამდენი ტანისამოსი მისთვის შეუკერავთო“.

ასე მოიარა მეგრელმა ბერმა მთელი თბილისი და გზა-გზა სულ ახალ-ახალ სურათებს ხედავდა. მან ინახულა სხვადასხვა ქარხნები—საპნის, სანთლის, მექურქეების, მეშანდლეების, მეტყავეების და მექურქლეების... გასინჯა აგრეთვე სამჭედლოება, ფეიქარხანები, ლილახანები, ნახა ჩილინდრები, ხარაზები, ხმლების მკეთებელნი, მეთოფეები, მექვაბეები და ბევრი კიდევ სხვა...

ყოველივე ამ სურათით, როგორც წინად შევნიშნე, ძალიან გაკვირვებულ იყო შორეული სოფლის მონასტრიდან ჩამოსული ბერი და მალ-მალ თავის თანამგზავრს ეკითხებოდა: ნეტა ვისთვის ან რად ამზადებენ ამდენ საქონელსაო?

— ასეა რიგიო, უპასუხა იონა ხელაშვილმა, რომ ქალაქში ყოველივე სავსებით უნდა იყოს; ეს ქალაქის დიდებაა... მეორე ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყანა ვაჭრობით მდიდრდება. ვისაც სახლში არ ექნება რაიმე საჭირო ნივთი და ფული კი ექნება, ის იყიდის ყველას და თავის სახლს რიგიანად მოაწყობსო.“

მართალს ამბობდა იონა ხელაშვილი. ძველ საქართველოში ყველა ნივთეულობა ცხრა მთას იქიდან როდი მოდიოდა, როგორც ეს ახლა ხდება. თითქმის ყველაფერი აქვე კეთდებოდა. არა თუ ქალაქებს, თითქმის ყველა დიდ სოფელს ჰყავდა თავისი ხელოსნები, რომელნიც ასე თუ ისე ხალხის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებებდენ. მე-18 საუკუნეში მთელი იმერ-ამერეთი იყო მოფენილი საფეიქარნახოებით, რომელნიც უხვად უმზადებდენ ჩვენ ხალხს სამოსელს, მერდინებს, შალებს და სხვაგვარ მატერიებსაც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ დროს ზოგიერთი ხელოსნობა ჩვენში ძალიან მაღლა მდგარა... ამის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ მაგალითსა. რუსის ღენერალი გვარად სლივიცკი ყოფილა ქ. თბილისში მე-18 საუკუნის დამლევს. იმ დროს იქ ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი ხელოსანი **ივანე ზოტიშვილი**. ეს იყო სამართებლების გამკეთებელი.

სლივიცკი ამბობს, რომ ზოტიშვილი „აკეთებდა იმისთანა სამართებლებს, რომელთა არც ერთი ნაკეთი ევროპაშიაც არ შეედრებაო.“ თითო ასეთი სამართებელი იყიდებოდა ერთ **აბაზად**. 1827 წელს ეს ღენერალი ისევ დაბრუნებულა საქართველოში და მოუნდომებია ამგვარივე სამართებლების ყიდვა, მაგრამ ვერ იშოვა. წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა გაიგო. რომ ეს იშვიათი ხელოსნობა სრულიად ამოფხვრილიყო თბილისში.

ამას გარდა იმ დროს ზოგიერთი სხვა ხელოსნობაც ყოფილა კარგად დაყენებული, მაგალითად ოქრომჭედლობა, მხატვრობა და ხუროთმოძღვრება თვითეულ ამისთანა ხელობას ყავდა გამოჩენილი და თავის დროზე სახელგანთქმული ხელოსნები. ხალხმა არ დაივიწყა მათი სახელები და ისტორიას გადმოსცა. მე-18 საუკუნეში ჩინებული არხიტექტორათ ითვლებოდა **ზაზიაშვილის გლახა**. განსაკუთრებით მან დიდი სახელი მოიხვეჭა ეკლესიების აშენებაში: ნიჭიერი ოქრომჭედელთა შორის იყო ცნობილი **მახსალაშვილი გაბრიელ** აგრეთვე სახელი გაითქვა **ნიკოლოზ მხატვარმა** და ბევრმა კიდევ სხვამ...

როგორც ხედავთ, თბილისში იმ დროს ყოფილა ყველა დარგის სახელოსნოები და ქარხნები. ხელოსანთა რიცხვიც დიდი იყო. მათი ცხოვრების მოსაწესრიგებლად საქართველოში არსებობდა განსაზღვრული კანონები. ყოველ პროფესიის ხელოსნებს თავიანთი ამქარი ყავდაო...

ასეთი ამქრული წესწყობილება საქართველოში დიდი ხნიდგან იყო შემოღებული- თანდათანობით ყოველმა ამქარმა თავისებური წეს-რიგი და ტრადიციები შეიმუშავა; დადგა ისეთი ხანაც, როცა იგი საზოგადო კანონმდებლობისაგან თითქმის სრულიად განთავისუფლდა. ზოგიერთი წესი დროის შესაფერი გამოდგა, ზოგი კი არ ვარგოდა და რეალურ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებდა. ამიტომაც საჭირო გახდა ხელოსანთა ზოგიერთი ამქრული წესების შეცვლა...

მე-18 საუკუნეში, ერეკლე მეორის დროს, შემუშავებულ იქმნა სოლომონ ლეონიძის მიერ ახალი გეგმა ხელოსანთა საკუთარი გამგეობისა, რომელიც მეფემ დაამტკიცა; დიდხანს მოქმედებდა ეს განახლებული ამქრული წესწყობილება საქართველოში, ვინაიდგან იგი იყო აშენებულ რეალურ ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით. ჩვენი ამქრები ამ წესებით ხელმძღვანელობდენ 1865 **წლამდი**...

სოლომონ ლეონიძის გეგმით, ქართველი ხელოსნები თვით განაგებდენ თავიანთ შინაურ საქმეებს და სადავო კითხვებსაც თვითონვე არჩევდენ. ხელოსნებმა აირჩიეს გამგეობათ, რომლის სათავეში იდგა მათი წარმომადგენელი—**უსტაბაში**, კრების მიერ არჩეული პირი.

ხელოსანთა ახლად ამორჩეული გამგეობა მაშინვე შეუდგა თავის წევრთა ცხოვრების გაუმჯობესებას. ერთხმად დაადგინა, აეკრძალოს მებატონეებს ქარგალთა და შეგირდების გაყიდვა, რადგან ეს მოვლენა საერთოდ საზარალოა ხალხისათვის, თუ კი რომელიმე ჯიუტი ბატონი ამის წინაამდეგ წავიდოდა და ყმის დასჯას მოინდომებდა, მაშინ ასეთ ყმას თვით ამქარი, როგორც იურიდიული ერთეული, იხსნიდა.

ამქრული წეს-წყობილება, როგორც ვიცით, წინადაც ყოფილა საქართველოში, მაგრამ ხელოსნების ვითარება არ იყო თურმე რიგიან დონეზე დაყენებული. ხელოსნები ფაქტიურად მუდამ ქალაქის ზედამხედველების უფლების ქვეშ იმყოფებოდენ და მას ემორჩილებოდენ. მაშინდელი ზედამხედველები ანუ მელიქები უსამართლოდ ექცეოდენ ხელოსნებს, სდევნიდენ მათ, ქრთამებს აძრობდენ და თავიანთ ჯიბეებს იტენდენ. ამ მხრივ სახელი გაითქვა ერთმა მელიქმა-კუზიანმა დარჩია ბებუთაშვილმა.

საერთოდ, მელიქები ქრთამების აღებით გატაცებულნი არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ამქრის უფლებებს და ქალაქის შემოსავალს ბოროტად ხმარობდენ: იმას არ უჩვენებდენ მთავრობას, რასაც თვით იღებდენ. ასეთმა გარემოებამ ხელოსნებში გამოიწვია უთანხმოება, მათ ჩივილით მიმართეს მეფეს, სთხოვეს დახმარება. მაშინ ერეკლემ ახალ ზედამხედველათ დანიშნა ენერგიით სავსე და სამართლიანი სოლომონ ლეონიძე, რომელიც კარგად იყო ჩახედული ხელოსანთა ცხოვრებაში. პირველ დღესვე მან შეკრიბა თბილისის მოქალაქენი—ხელოსნები და ვაჭრები-და აუხსნა მათ, რომ ამქრული წესები მალე შეიცვლება და გაუმჯობესდება; შემდეგ ამისა ილაპარაკა ბაზრის გაფართოვებაზე, ბაზაზხანის ქუჩების შეკეთებაზე და გზების გაწმენდაზე. ამავე დროს ურჩია ხელოსნებს—ახალი ქარხნების დაარსება და ძველების შეკეთება—გაფართოვება. ყველა ამ ზომებით ს. ლეონიძეს სურდა ქალაქი თბილისი, ეს შვენება ჩვენი სამშობლოსი, გალამაზებულიყო და გასუფთავებულიყო...

ზოგიერთ ჩვენთაგანს ჰგონია, რომ თბილისში სისუფთავე და საერთოდ ქალაქის მოწყობა რუსების მოსვლის შემდეგ დაიწყოვო. ეს ძალიან შემცდარი აზრია. ამ შეხედულებას თვით ისტორიული ფაქტები უარყოფენ. აი ერთ-ერთი საბუთი.

1768 წელს საფრანგეთიდან თბილისს ესტუმრა თავის დროზე სახელგანთქმული ნასწავლი მოგზაური **ებატი დელაპორტი**.

აი როგორ აგვიწერს ის ჩვენს სატახტო ქალაქს: „თბილისი ვრცელი არ არის, მაგრამ მეტად ლამაზი ქალაქია. აქ არის მშვენიერი სახლები და პალატნი, ხოლო ყველაზე კი ლამაზი მეფის სასახლეა. იგი მრავალ ოთახებიანია და მტკვარსა და ვრცელ ბაღებს გადაჰყურებს. თბილისში აღსანიშნავია-იქაური საუცხოვო აბანოები, სადაც ქვის თაღებია დათლილი ქვის აუზები. მთელ ქალაქში ბაზრები ქვით დაფენილია, ფაქიზად და სუფთად შენახული. საფრანგეთში კი ბაზრები პირიქით აუშნოებენ უკეთეს და უდიდეს ქალაქებს. საერთოდ ქართველების სახლებშიც დიდი სისუფთავეაო“.

რამდენათ დაინტერესებული იყო ჩვენს წინაპარი ქალაქის სისუფთავით, რამდენათ იგი ზრუნავდა მის გამშვენიერებაზე, ეს აშკარად სჩანს სოლომონ ლეონიძის განკარგულებიდან -ბაზრის და ბაზაზხანის ქუჩების გაფართოვება -განწმენდის შესახებ. მანვე დაარწმუნა თბილისის მოქალაქენი, რომ საჭიროა აშენდეს კარგი ქარვასლა... ეს იქნება ბინა იმ მრავალრიცხოვან მოგზაურთათვის, რომელნიც იმ დროს საქართველოში მოდიოდენ სხვადასხვა ქვეყნებიდან... დასასრულ საჭიროდ ვრაცხ მოვიყვანო ის მშვენიერი სიტყვა, რომელიც სოლომონ ლეონიძემ წარმოსთქვა ერეკლეს წინაშე ხელოსანთა თანადასწრებით. იგი ხმა მაღლა ითხოვს ხელოსნების და საერთოდ მოქალაქეთა ვითარების გაუმჯობესობას და წარმატებას. „ყველაფერს თქვენ თითონ ხედავთ, მეფეო,—სთქვა ლეონიძემ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს თბილისის ხელოსანთა ვითარება. ეგენი შეწუხებულნი არიან არა მარტო გარეშე მტრისაგან, არამედ მათ თვით შინაური მტრებიც მოსვენებას არ აძლევენ. საჭიროა ამ გარემოებას თქვენი მეფური გამგეობის ძალა მოჰფინოთ და უზრუნველ ჰყოთ ხელოსანთა და მოქალაქეთა საქმე. მათი ვითარების აღორძინებით, აღორძინდება ბევრი რამ ქართველთა ცხოვრებაში. ერი გამოფხიზლდება და მრავალი მდაბიონი შეეჩვევიან დროის რიგიანად მოხმარებას. ამიტომ საჭიროა, რომ მოქალაქენი და ხელოსნები პატივცემულ იყვენ თქვენგან; ამითი ისინი უფრო დაგიახლოვდებიან: თქვენ გაჭირვებაში მუდამ დიდი მონაწილეობას მიიღებენ და მეტ სარგებლობას მოუტანენ ჩვენ ლაშქარს“...

ეს წინადადება, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოიწონა ერეკლემ და ხელოსანთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე მთლად მიანდო ნიჭიერ ქართველს ს. ლეონიძეს. ამ უკანასკნელმა არამც თუ მიიღო შესაფერი ზომები. რომ მაგარ ნიადაგზე დაეყენებინა ქართველ ხელოსანთა ცხოვრება, არამედ სულ იმას ცდილობდა, რომ გაემრავლებინა მათი რიცხვი...

ასეთივე გეგმით მოქმედებდა დაუვიწყარი სოლომონ ლეონიძე, როცა ის, რუსებისაგან დევნილი, თბილისიდან გადმოსახლდა იმერეთის სატახტო ქალაქ ქუთაისში.

ალ. გარსევანიშვილი.

## დამფუძნებელი კრების არჩევნები.

დამფუძნებელ კრების საგანგებო საარჩევნო საბჭოს თავმჯდომარემ, კოკოშკინმა. 3 ივლისის თარიღით შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს: „საგანგებო საბჭომ ხმის დიდი უმეტესობით გადასწყვიტა, რომ ამიერ-კავკასია, დაღესტნის ოლქისა და შავი-ზღვის გუბერნიის გამოკლებით, ერთ საარჩევნო ოლქად იყოს. ჩრდილო კავკასიაც ერთ საარჩევნო ოლქს შეადგენს. საბჭო ფიქრობდა, რომ ასეთი გაერთიანებული ოლქი ყველა ეროვნებასა და ჯგუფს სამართლიან პროპორციულ წარმომადგენლობას ანიჭებს. გაერთიანება არ დააგვიანებს საარჩევნო სიების შედგენას, რადგან ასეთი სიების შედგენას აწარმოებენ ადგილობრივი სასოფლო ორგანოები და მისდაგვარი დაწესებულებანი. საარჩევნო სიების განსაჩივრება ხდება სამაზრო, საგუბერნიო და საოლქო ინსტანციებში. ამიერ-კავკასიის ცენტრალი კომისია მხოლოდ ჩიბარებს და გამოაქვეყნებს პარტიულ სიებს, დასთვლის ხმებს და დეპუტატთა ადგილებს დაჰყოფს მიღებულ ხმების რაოდენობის მიხედვით. არჩევნების დაწყებამდე დანიშნული იქნება განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაში შესაძლოა განცხადების შემოტანა სხვადასხვა კანდიდატთა სიების გაერთიანების შესახებ; გაერთიანებული სიები სადეპუტატო ადგილების განაწილების დროს ერთ სიად ითვლებიან, ხოლო შემდეგ ადგილები ნაწილდებიან პროპორციულად გაერთიანებულ სიათა შორის. ეს შეძლებას აძლევს ყოველ ჯგუფს წამოაყენოს ჯერ ადგილობრივი კანდიდატთა სიები, ხოლო შემდეგ შეაერთოს ისინი მთელი ამიერკავკასიისათვის. არჩევნების კასაციის წესს თავის დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს.

ეს დეპეშა წარდგენილ იქმნა ამიერკავკასიის კომიტეტის საგანგებო სხდომაზე, როდესაც ჩხენკელი თავმჯდომარეობდა და რომელზედაც მუშ. და ჯარ. კაც. დეპ. საბ. აღმას. კომიტეტის და ქალაქის საარჩევნო კომიტეტის წარმომადგენლებიც იყვნენ. გადასწყვიტეს, რომ კოკოშკინის დეპეშის განხილვა დღეისათვის გადაიდოს და ბჭობაზე მოიწვიონ რევოლიციური, პარტიული და ნაციონალური ორგანიზაციები. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა განიხილა აგრეთვე საკითხები იმ ორგანოებისა, რომელნიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმეებს განაგებენ. დადგენილია განსხვავება იქონიონ აღმასრულებელსა და საკონტროლო ორგანოთა შორის.

აღმასრულებელ ორგანოებად ჩაითვლებიან სოფლის აღმასრულებელი კომიტეტები, საკონტროლო ორგანოებად კი მაზრების აღმასრულებელი კომიტეტები.

რაც შეეხება საარჩევნო სიების შედგენას, გადაწყვეტილია აღწერა კომლობით მოჰხდეს, ამასთანავე თვითეულს ბარათში შეტანილ იქნება სახლის უფროსი, მისი ოჯახობის წევრები, მომუშავე და მოსამსახურენი. ყველა ბარათები გროვდება სახლის პატრონთა გვარის ალფაბეტით. სიების შედგენა რაიონებში უნდა მოხდეს, სხვათა შორის თვითეულ რაიონად მიღებულ უნდა იქმნეს სოფელი 2,000 კაცით, გადაწყვეტილია საარჩევნო ხარჯებისათვის ჯერ ჯერობით ეთხოვოს დრ. მთავრობას 200,000 მანეთი და გაღებულ უნდა იქმნას ათას მანეთობით გუბერნიის თვითეულს მაზრაზედ. დადგენილია დეპეშით ეცნობოს საგუბერნიო და სამაზრო რწმუნებულებს, რათა ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინონ რეგისტრატორებს აღწერისას, და დეპეშითვე აცნობონ ხოლმე კავკასიის საგანგებო კომიტეტს მუშაობის მიმდინარეობა.

## „ბათომ-ტრაპეზონის რკინის გზის ისტორია“.

1915 წ. კავკასიის ლაშქრმა ოსმალეთის კუთვნილ ლაზისტანის დედაქალაქი ტრაპიზონი დაიჭირა.

[illegible] სიას მეფის ნაცვლათ წოდებული“ მეფის ნაცვალმა, როგორც [illegible] ბის მთავარ-სარდალმა დაათვალიერა დაპყრობილი ტრაპიზონი და ერთი კვირის შემდგომ ინჟენერთა თათბირი მოახდინა, რომელსაც დაავალა ბათომიდან ტრაპიზონამდე რკინის გზის გაყვანა:

რკინის გზის გაყვანის მთავარ ხელმძღვანელათ დაინიშნა პოლკოვნიკი ვერდერევსკი. ვერდერევსკიმ ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს აღუთქვა, რომ გზას 8 თვის განმავლობაში გაიყვანდა.

გზის გაყვანის საქმისთვის ხაზინიდან 75 მილიონი მანეთი გადასდევს. მუშაობა დაიწყო და, როგორც გაზ. „რუს. სლოვო“ მოგვითხრობს, თუ სადმე გამოჩენილი ფულის პატრონი, ავანტურისტი და აფერისტი იყო, ყველამ ტრაპიზონის გზაზე მოიყარა თავი.

11 თვემ განვლო, მაგრამ ერთი ქვაც კი არსად ჩაუდვიათ და ერთი კლდეც არ აუფეთქებია. 75 მილიონი კი გათავების პირას მივიდა. ვინ იცის ალბათ ახალ ასიგნაციას მოითხოვდენ დასუქებულ ინჟინერ-პოლკოვნიკ აფერისტები, მაგრამ ამ დროს იფეთქა რუსეთის დიდმა რევოლუციამ და რევოლუციურმა დრ. მმართველობამ ბათომ-ტრაპიზონის რკინის გზის გაყვანის ლიკვიდაცია გამოაცხადა და მისი მეთაურნი პასუხის გებაში მისცა. ამ ჟამად პოლკოვნიკი ვერდერევსკი, ბათომის ყოფილი პოლიცმეისტერი ბოიჩევსკი, ინჟენერი დენისოვი, მექანიკი ორლოვი და ინჟ. მარკოვი დატუსაღებული არიან. სხვა „ინიციატორები“ ჯერ არ შეუპყრიათ.

ასე დამთავრდა ბათომ-ტრაპიზონის რკინის გზის საქმე, რომელ რკინისგზასაც, მისი გაკეთება რომ მოხერხებულიყო, ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

## დების იმხნელების კონცერტი.

(დ. ახალ—სენაკი)

დიდი ხანი არ არის, რაც დები იმხნელები მსმენელთა დამატკბობლად მოევლინენ ქართულ სცენას, პრესა და საზოგადოება მხურვარედ აალაპარაკეს. მრავალი საყურადღებო რამ მესმოდა მათ შესახებ. განუსაზღვრელი სურვილი დამებადა მათი მოსმენისა და ძლიერ მოხარული ვიყავ, რომ ისინი ეწვიენ ქ. ახალ სენაკს, სადაც იშვიათად იმართება ნამდვილი კონცერტი დამსწრეთა დამაკმაყოფილებელი.

იმხნელებზე ჩემი წარმოდგენა იმ საღამოს გამართლდა. არც ერთ ქართულ კონცერტზე არ განმიცდია ისე მძლავრად ეროვნული გრძნობის სიტკბოება, როგორც იმ ღამეს, დების იმხნელების სასიამოვნო, ტკბილი და ჰარმონიულად შეთანხმებული ხმებით ქართულ სიმღერა-რომანსების შესრულების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ამ დებში იქცევს ზინაიდა იმხნელი. მართალია, ჯერ ის სრულებით ახალგაზრდა მომღერალია, ხმა მისი სათანადოდ არ არის დამუშავებული, ჯერ კიდევ დიდი მეცადინეობა არის მისთვის საჭირო, მუსიკის სფეროში, მაგრამ განსაკუთრებულ თვისებას ამ მომღერლისა შეადგენს განცდა, ღრმა ტემპერამენტით ლამაზი გადმოცემა რომანსის თუ სიმღერის მთელი შინაარსისა. ის გვხიბლავდა ჩვენ მისი განცდით, სწორედ ამ ლამაზი, არაჩვეულებრივი მხატვრული გადმოცემით, მეტყველებდა არა მარტო ხმა მისი, არამედ სახეც. მეტყველებდა ის მთელი მისი ზღვა გრძნობით. საყურადღებოა მათ მიერ შესრულებული სიმღერები „წვიმა-ქარი“ და „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“. არ შემიძლია არ დაურთო: ისიც, რომ ახალგაზრდა მომღერლებს არ ეხერხებათ რუსულ სიმღერების შესრულება. აქ ისინი კობეღლობენ.

უსურვებთ ამ ახალგაზრდა მომღერალ ქალებს გამარჯვებას, მეტ მეცადინეობას ამ საყვარელ დარგში ხელოვნებისა.

ფრანც—მოორი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. ქვირქელია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.